

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საკმევანობა	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	19
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	21
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
7. გაცემული სესხები	22
8. ძირითადი საშუალებები	23
9. არამატერიალური აქტივები	24
10. მოთხოვები მომსახურებიდან, წმინდა	24
11. წინასწარ გადახდილი გადასახადი	25
12. გადავადებული შემოსავალი	25
13. მიღებული გრანტები	25
14. ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	26
15. სტუდენტების მომსახურებისგან მიღებული თანხები	26
16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	26
17. სტიპენდიები	26
18. საიჯარო ქირა	27
19. კომუნალური ხარჯები	27
20. მომსახურების და სხვა ხარჯები	27
21. საპროცენტო შემოსავალი	27
22. ფინანსური რისკების მართვა	27
23. დაკავშირებული მხარეები	30
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

1. ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 132 ათასი ლარის და 196 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურება. კომპანიაში შემოდგომის სემესტრი იწყება სექტემბერში, და მისი დასრულება არ ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. გარკვეულ შემთხვევებში, სტუდენტები სემესტრულ გადასახადს წინასწარ იხდიან, რის გამოც კომპანიას წარმოექმნება გადავადებული შემოსავლის ვალდებულება. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი მტკიცებულება კომპანიის გადავადებული შემოსავლის რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენდა 240 ათას ლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 192 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება გადავადებულ შემოსავალთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019 წელი


- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
 - ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაცქეს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვუვალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019 წელი



*შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)*

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	7	3,678	1,279
ძირითადი საშუალებები	8	620	714
არამატერიალური აქტივები	9	181	155
მოკლევადიანი აქტივები			
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	10	15,242	12,022
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	4,561	1,673
წინასწარ გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის გარდა	11	428	412
მარაგები		132	196
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	11	93	88
გადახდილი ავანსები		1	314
სულ აქტივები		24,936	16,853
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	12	240	192
მიღებული გრანტები	13	163	23
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	14	-	554
მიღებული სესხები		-	-
სულ ვალდებულებები		403	769
საწესდებო კაპიტალი		294	294
გაუნაწილებელი მოგება		24,239	15,790
სულ კაპიტალი		24,533	16,084
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		24,936	16,853

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო


31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები			
ძირითადი საშუალებები	7	3,678	1,279
არამატერიალური აქტივები	8	620	714
მოკლევადიანი აქტივები	9	181	155
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	15,242	12,022
წინასწარ გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის გარდა	6	4,561	1,673
მარაგები	11	428	412
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		132	196
გადახდილი ავანსები	11	93	88
სულ აქტივები		1	314
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		24,936	16,853
მიღებული გრანტები	12	240	192
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	13	163	23
მიღებული სესხები	14	-	554
სულ ვალდებულებები		-	-
საწესდებო კაპიტალი		403	769
გაუნაწილებელი მოგება		294	294
სულ კაპიტალი		24,239	15,790
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		24,533	16,084
		24,936	16,853

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31

 31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

32

 31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
 განუყოფელი ნაწილია.

*შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)*

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი			
სტუდენტების მომსახურებიდან მიღებული თანხები	15	15,255	13,422
სხვა შემოსავალი		164	177
შემოსავალი გრანტებიდან	13	-	1,000
		15,419	14,599
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	16	(5,861)	(5,796)
სტიპენდიები	17	(333)	(456)
საიჯარო ქირა	18	(303)	(330)
კომუნალური ხარჯები	19	(257)	(276)
მომსახურების და სხვა ხარჯები		(131)	(119)
მასალა და მარაგები	20	(128)	(206)
ცვეთა და ამორტიზაცია	8;9	(109)	(114)
სხვა ხარჯები		(192)	(126)
სულ საოპერაციო ხარჯი		(7,314)	(7,423)
არა საოპერაციო ხარჯი		(12)	(84)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(12)	(84)
ფინანსური შემოსავალი			
საპროცენტო შემოსავალი	21	317	134
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან		39	609
საპროცენტო ხარჯი		-	(311)
ფინანსური შემოსავალი		356	432
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		8,449	7,524
მოგების გადასახადი		-	(6)
წლის სრული შემოსავალი		8,449	7,518

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

10-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი			
სტუდენტების მომსახურებიდან მიღებული თანხები	15	15,255	13,422
სხვა შემოსავალი		164	177
შემოსავალი გრანტებიდან	13	-	1,000
		15,419	14,599
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	16	(5,861)	(5,796)
სტიპენდიები	17	(333)	(456)
საიჯარო ქირა	18	(303)	(330)
კომუნალური ხარჯები	19	(257)	(276)
მომსახურების და სხვა ხარჯები		(131)	(119)
მასალა და მარაგები	20	(128)	(206)
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	(109)	(114)
სხვა ხარჯები		(192)	(126)
სულ საოპერაციო ხარჯი		(7,314)	(7,423)
არა საოპერაციო ხარჯი		(12)	(84)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(12)	(84)
ფინანსური შემოსავალი			
საპროცენტო შემოსავალი	21	317	134
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან		39	609
საპროცენტო ხარჯი		-	(311)
ფინანსური შემოსავალი		356	432
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		8,449	7,524
მოგების გადასახადი		-	(6)
წლის სრული შემოსავალი		8,449	7,518

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

*შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)*

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი, 2017	294	8,272	8,566
წლის სრული შემოსავალი	-	7,518	7,518
31 დეკემბერი, 2017	294	15,790	16,084
წლის სრული შემოსავალი	-	8,449	8,449
31 დეკემბერი, 2018	294	24,239	24,533

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო


10-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი, 2017	294	8,272	8,566
წლის სრული შემოსავალი	-	7,518	7,518
31 დეკემბერი, 2017	294	15,790	16,084
წლის სრული შემოსავალი	-	8,449	8,449
31 დეკემბერი, 2018	294	24,239	24,533

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო


31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

10-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	12,514	14,752
თანამშრომლების მიმართ გადახდილი თანხები	(4,633)	(4,610)
სესხის გაცემა	(2,200)	-
მომწოდებლების მიმართ გადახდილი თანხები	(1,688)	(2,076)
სხვა საოპერაციო საქმიანობა	(12)	(59)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	3,981	8,007
გადახდილი გადასახადი	(1,217)	(1,305)
მიღებული პროცენტი	118	-
გადახდილი დღგ	(34)	(64)
გადახდილი პროცენტი	-	(311)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	2,848	6,327
საინვესტიციო საქმიანობა		
მიღებული პროცენტი გაცემული სესხიდან	-	562
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	-	562
ფინანსური საქმიანობა		
სესხის დაფარვა	-	(6,699)
ფინანსური საქმიანობიდან გამოყენებული ფულადი ნაკადები	-	(6,699)
წმინდა ფულის ზრდა	2,848	190
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,673	1,505
უცხოური ვალუტის კურსის გავლენა	40	(22)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,561	1,673

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	12,514	14,752
თანამშრომლების მიმართ გადახდილი თანხები	(4,633)	(4,610)
სესხის გაცემა	(2,200)	-
მომწოდებლების მიმართ გადახდილი თანხები	(1,688)	(2,076)
სხვა საოპერაციო საქმიანობა	(12)	(59)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი	3,981	8,007
ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		
გადახდილი გადასახადი	(1,217)	(1,305)
მიღებული პროცენტი	118	-
გადახდილი დღგ	(34)	(64)
გადახდილი პროცენტი	-	(311)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი	2,848	6,327
ნაკადები		
საინვესტიციო საქმიანობა		
მიღებული პროცენტი გაცემული სესხიდან	-	562
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	-	562
ფინანსური საქმიანობა		
სესხის დაფარვა	-	(6,699)
ფინანსური საქმიანობიდან გამოყენებული ფულადი	-	(6,699)
ნაკადები		
წმინდა ფულის ზრდა	2,848	190
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის	1,673	1,505
დასაწყისში		
უცხოური ვალუტის კურსის გავლენა	40	(22)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,561	1,673

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
 განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 1995 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე.

კომპანია წარმოადგენს არასამთავრობო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დაარსდა და 100% წილის მფლობელი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არის ა(ა)იპ ცოდნის ფონდი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა. კომპანიის აქვს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული პროგრამები.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: # 240 დავით აღმაშენებლის ხეივანი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის რექტორი არის ვახტანგ ლეჟავა.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიამ 2018 წელს გამოიმუშავა 8,469 ათასი ლარის წმინდა შემოსავალი (2017 წელს 7,518 ათასი ლარი) და 2,848 ლარის დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (2017 წელს 6,327 ათასი ლარი). აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუწერავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის. თითოეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუნაგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები, მსგავსის არსებობის შემთხვევაში, პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

(ბ) გაუფასურება

ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა ფასს 9-მ, საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. კომპანიის შემოსავლის წყარო, შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან, სტანდარტის მიღემადე წარმოადგენდა შემოსავალს, რომელიც ნაწილდებოდა სხვადასხვა პერიოდზე შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონია გავლენა კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

	არ იცვითება
წიგნები	8 წელი
მანქანა დანადგარები	8 წელი
ოფისის აღჭურვილობა	8 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისთვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის - 5-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

სასარგებლო გამოყენების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ცვეთა არ ერიცხება. ისინი ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურების გამოსავლენად ინდივიდუალურად, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველწლიურად გადაისინჯება აქტივის მიმდინარე სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის სტატუსის დაზუსტების მიზნით.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწვევითანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს

განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწვევითანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან

კომპანია იღებს შემოსავალს საგანმანათლებლო საქმიანობიდან. შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ სტუდენტებზე გაწეული საგანმანათლებლო საქმიანობის პროპორციულად, თვეების მიხედვით.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა მოგებისა აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები დაარამტერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული თანხით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

გრანტები

გრანტების აღიარება არ ხდება, მანამდე სანამ არ არსებობს საფუძვლიანი მტკიცება, რომ კომპანია შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გრანტის მიღება. გრანტები რომლებიც მიზნად ისახავს, რომ კომპანიამ გასწიოს გარკვეული საგანმანათლებლო საქმიანობა, აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი საბალანსო ანგარიშგებაში და მოხდება მათი გადანაწილება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სისტემურად და რაციონალურ საფუძველზე, მასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების შესაბამისად.

სხვა გრანტები აღიარდება შემოსავლად იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2018	2017
1 USD/GEL	2.5345	2.5086
1 EUR/GEL	2.9913	2.8322

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიყენა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ფილიალები, რომელთაგან ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელოს, რომ ამ სტანდარტს რამე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალს ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაეყვას აღნიშნული რისკი.

დაკავშირებულია მხარის ოპერაციები. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	3,722	1,252
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	839	421
	4,561	1,673

ფული და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი შექმნილი არ არის მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

7. გაცემული სესხები

კომპანიას სესხები გაცემული აქვს დაკავშირებულ მხარეებზე. გაცემული სესხები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
დაკავშირებული მხარეებზე გაცემული სესხები	3,408	1,208
მისაღები პროცენტი	270	71
სულ	3,678	1,279

გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 12-დან 18%-მდე. კომპანიის გაცემული სესხები გრძელვადიანი აქტივია და დარიცხული პროცენტის გადახდა მოხდება სესხის ძირთან ერთად.

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგია:

საბალანსო ღირებულება	წიგნები	მანქანა/ დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
1 იანვარი, 2017	361	177	1,107	572	49	51	2,317
შესყიდვა	6	17	136	-	-	6	165
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2017	367	194	1,243	572	49	57	2,482
შესყიდვა	6	14	-	-	-	3	23
გასვლა	-	-	-	-	-	(24)	(24)
31 დეკემბერი, 2018	373	208	1,243	572	49	36	2,481
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2017	-	120	915	556	49	23	1,663
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	-	16	78	7	-	4	105
31 დეკემბერი, 2017	-	136	993	563	49	27	1,768
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	-	14	77	3	-	6	100
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	-	-	(7)	(7)
31 დეკემბერი, 2018	-	150	1,070	566	49	26	1,861
ნარჩენი ღირებულება							
31 დეკემბერი, 2017	367	58	250	9	-	30	714
31 დეკემბერი, 2018	373	58	173	6	-	10	620

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,476 ათასი ლარის აქტივი სრულად არის გაცვეთილი (2017 წლის 31 დეკემბერი: 1,232 ათასი ლარი).

*შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)*

9. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგნაირად გამოიყურება:

	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი, 2017	89	50	15	154
შესყიდვა	81	-	-	81
31 დეკემბერი, 2017	170	50	15	235
შესყიდვა	42	-	-	42
31 დეკემბერი, 2018	212	50	15	277
დაგროვილი ამორტიზაცია				
1 იანვარი, 2017	38	22	12	72
ამორტიზაციის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	5	2	1	8
31 დეკემბერი, 2017	43	24	13	80
ამორტიზაციის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	12	3	1	16
31 დეკემბერი, 2018	55	27	14	96
ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი, 2017	127	26	2	155
31 დეკემბერი, 2018	157	23	1	181

10. მოთხოვნები მომსახურებიდან, წმინდა

კომპანიის მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მოთხოვნები დედა კომპანიის მიმართ	18,555	14,801
მოთხოვნები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	12,306	8,432
გარდამავალი დაფინანსება	679	334
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	7	2
სხვა	2	4
სახელმწიფო გრანტი	(16,307)	(11,551)
მოთხოვნები, წმინდა	15,242	12,022

11. წინასწარ გადახდილი გადასახადი

კომპანიის მიერ წინასწარ გადახდილი გადასახადი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
საგადასახადო აქტივი გარდა მოგების გადასახადისა		
საშემოსავლო გადასახადი	292	282
პროცენტიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი	69	69
დღგ	35	29
საბაჟო გადასახადი	1	1
ქონების გადასახადი	30	30
სხვა	3	3
სულ საგადასახადო აქტივები გარდა მოგების გადასახადისა	430	414
საგადასახადო ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადი	(2)	(2)
სულ საგადასახადო ვალდებულებები გარდა მოგების გადასახადისა	(2)	(2)
სულ საგადასახადო აქტივი გარდა მოგების გადასახადისა, წმინდა	428	412
მოგების გადასახადი	93	88
სულ საგადასახადო აქტივი:	521	500

იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება ერთობლივად საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანია ახორციელებს მათ ურთიერთგაქვითვას.

12. გადავადებული შემოსავალი

კომპანიას წარმოეძმნება გადავადებული შემოსავალი, რადგანაც სასწავლო სემესტრის დამთავრება არ ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს- კომპანიის აკადემიური წელიწადი გრძელდება 10 თვე და იწყება სექტემბერში, ხოლო სრულდება ივნისში. კომპანია შემოსავალს ძირითადად იღებს სემესტრულად, რომლის ხანგრძლივობა არის ხუთი თვე. კომპანიის გადავადებული შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს პირველი სემესტრის ბოლო თვის გადასახადი.

13. მიღებული გრანტები

კომპანიის მიღებული გრანტები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	2018	2017
პერიოდის დასაწყისში	23	24
მიღებული გრანტები	140	1,008
შემოსავალი გრანტებიდან პერიოდის განმავლობაში	-	(1,009)
პერიოდის ბოლოს	163	23

14. ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

კომპანიის ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ვალდებულებები მიღებული მომსახურებიდან და მიწოდებიდან	-	545
გადასახდელი ხელფასები	-	9
სულ	-	554

15. სტუდენტების მომსახურებისგან მიღებული თანხები

კომპანიის სტუდენტებისგან მიღებული თანხები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	2018	2017
შემოსავალი უნივერსიტეტის სტუდენტებისგან	14,894	12,879
შემოსავალი სერტიფიცირებიდან	357	540
სხვა	4	3
სულ	15,255	13,422

16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

კომპანიის ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი შედგება შრომის ანაზღაურებისგან და თანამშრომელთა დაზღვევისგან. 2018 და 2017 წლების მდგომარეობით კომპანიის ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი შედგება შემდეგი თანხებისგან:

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები	5,780	5,712
თანამშრომელთა დაზღვევა	81	84
სულ	5,861	5,796

17. სტიპენდიები

კომპანიის სტიპენდიები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით მოიცავს შემდეგ თანხებს:

	2018	2017
გრანტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები	137	175
სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები	110	159
საველე პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები	74	40
საგანმანათლებლო ლიტერატურასთან წვდომის ხარჯები	12	64
სხვა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	-	18
სულ	333	456

18. საიჯარო ქირა

კომპანიის საიჯარო ქირა 2018 და 2017 წლების მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2018	2017
საიჯარო ქირა საოპერაციო საქმიანობისთვის	300	318
საიჯარო ქირა თანამშრომელთათვის	3	12
სულ	303	330

19. კომუნალური ხარჯები

კომპანიის კომუნალური ხარჯები შედგება ელექტროენერგიის, გაზის და წყლის გადასახადისგან.

20. მომსახურების და სხვა ხარჯები

კომპანიის მომსახურების და სხვა ხარჯები შემენასთან დაკავშირებული ხარჯები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	2018	2017
სამეურნეო ხარჯი	53	126
საკონსულტაციო ხარჯი	45	38
საწევავის ხარჯი	25	27
მომსახურების ხარჯი	5	15
სულ	128	206

21. საპროცენტო შემოსავალი

კომპანიის საპროცენტო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები. გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 12-დან 18%- მდე. დარიცხული მისაღები პროცენტის გადახდა მოხდება სესხის ძირთან ერთად.

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშობება საკურსო სხვაობები.

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში.

*შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)*

31 დეკემბერი, 2018	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,708	853	4,561
გაცემული სესხები	3,678	-	3,678
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	15,242	-	15,242
სულ ფინანსური აქტივები	22,628	853	23,481
ფინანსური ვალდებულებები			
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
ღია საბალანსო პოზიცია	22,628	853	23,481
31 დეკემბერი, 2017	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,255	418	1,673
გაცემული სესხები	-	1,279	1,279
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	12,022	-	12,022
სულ ფინანსური აქტივები	13,277	1,697	14,974
ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	554	-	554
სულ ფინანსური ვალდებულებები	554	-	554
ღია საბალანსო პოზიცია	12,723	1,697	14,420
	დოლარის კურსის გავლენა 2018	დოლარის კურსის გავლენა 2017	
	30%-იანი ზრდა	30%-იანი ზრდა	30%-იანი ზრდა
		შემცირება	შემცირება
მოგება/ (ზარალი)	256	(256)	509
			(509)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	4,561	1,268
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წმინდა	15,242	12,022
	19,803	13,290

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას.

კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

31 დეკემბერი, 2018	ერთ წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	15,242	-	-	15,242
გაცემული სესხები	-	3,678	-	3,678
სულ ფინანსური აქტივები	15,242	3,678	-	18,920
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
ლიკვიდურობის გარღვევა	15,242	3,678	-	18,920
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა		18,920	18,920	

31 დეკემბერი, 2017	ერთ წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	(3,113)	15,135	-	12,022
გაცემული სესხები	71	1,208	-	1,279
სულ ფინანსური აქტივები	(3,042)	16,343	-	13,301
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	554	-	-	554
სულ ფინანსური ვალდებულებები	554	-	-	554
ლიკვიდურობის გარღვევა	(3,596)	16,343	-	12,747
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა		12,747	12,747	

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორიცაა ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები ნაკლებია ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასაღებზე.

კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვა ხორციელდება ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურის საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიის საპროცენტო რისკი მინიმალურია, რადგან კომპანიას აქვს სარგებლიანი ფინანსური ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. კომპანიას 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

23. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან ა(ა)იპ ცოდნის ფონდი და მისი შვილობილი კომპანიები.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები შედგება:

ურთიერთობა	2018		2017	
	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია
საპროცენტო შემოსავალი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	270	270	134
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	კომპანიის ხელმძღვანელობა	90	5861	85
საიჯარო ქირა	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	300	303	318
				330

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები პერიოდის ბოლოს შედგება:

ურთიერთობა	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია
გაცემული სესხები, სრული				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	3,678	3,678	1,279	1,279
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წმინდა				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	477	15,242	15,135	12,022

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

მმართველობითი ანგარიში

2018

სარჩევი

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.....	2
სუბიექტის განვითარების გეგმები.....	2
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	3
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	3
აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	3
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	4
წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები..	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	6

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

სუბიექტის განვითარების გეგმები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი არის არამომგებიანი საქველმოქმედო ორგანიზაცია ცოდნის ფონდის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მისი ბენეფიციარები არიან ცოდნის მიმღებები - უშუალოდ სტუდენტები და, ამავე დროს, ქვეყანაში განათლების დონის გაუმჯობესების გზით, მთელი საზოგადოება. თავისუფალი უნივერსიტეტის მისიაა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეებზე:

- შექმნას საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო და ეს გარემო ხელმისაწვდომი გახადოს გამორჩეული ახალგაზრდებისთვის

- სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს

- უზრუნველყოს სწავლება და სწავლა ქართულ ენაზე, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის, განვითარებას

- იყოს ორიენტირებული სტუდენტების ინტერესებსა და მათ შემდგომ წარმატებაზე

თავისუფალი უნივერსიტეტი ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს გზას უხსნის თავისუფალი შემეცნებისაკენ და შესაძლებლობას აძლევს მათ უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონეზე:

- ესმოდეო, რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება

- შეეძლოთ რაოდენობრივი აზროვნება

- შეეძლოთ საკუთარი აზრის პროფესიულად და აკადემიურად გამართულად ზეპირად და წერილობით გადაცემა

ახალი ცოდნის შესაძენად და შესაქმნელად მიმართონ კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას

- მორალური ღირებულებების საფუძველზე მიიღონ ეთიკური გადაწყვეტილებები

- აღიარებდნენ სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას და იყვნენ ტოლერანტული.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი მდებარეობს ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში. მას აქვს მხოლოდ ერთი ფილიალი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კვლევები არის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და მუდმივად მიმდინარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესების პარალელურად.

უნივერსიტეტში კვლევები ხორციელდება საგანმანათლებლო ერთეულების, სკოლების მიერ. კვლევების მიზანია ახალი სასწავლო მექანიზმების შემუშავება და არსებული მიდგომების დახვეწა/მოდერნიზაცია, რაც სტუდენტს საქართველოს და მსოფლიო ბაზარზე, უფრო ეფექტურს და კუკნკურენტუნარიანს გახდის.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს 14 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. ასევე უნივერსიტეტს აქვს ფროფესიული პროგრამები.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება საგანმანათლებლო ერთეულის, სკოლის მიერ. თავისუფალი უნივერსიტეტი რვა სკოლას აერთიანებს. ესენია:

- ბიზნესის სკოლა (ESM)
- საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა
- სამართლის სკოლა
- კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის სკოლა (MACS)
- ფიზიკის სკოლა
- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა
- ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლა (VA[A]DS)

- სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა

უნივერსიტეტი ამჟამად ახორციელებს 9 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- ვიზუალური ხელოვნება და დიზაინი
- არქიტექტურა
- კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა
- ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია
- ფიზიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სამართალი
- მართვა და სოციალური მეცნიერებები

6 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- ბიზნესის ადმინისტრირება ოპერაციების მენეჯმენტში
- სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში
- ბიზნესის სამართალი
- სოციალური მეცნიერებები
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

და 2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას:

- სოციალური მეცნიერებები
- ერთობლივი სადოქტორო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

თავისუფალი უნივერსიტეტი არის სტუდენტებსა და მათ წარმატებაზე ორიენტირებული მაღალი რეპუტაციის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება და საქართველოში უმაღლესი განათლების ლიდერი. განათლების სამივე საფეხურზე თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამები ეყრდნობა ლიბერალური განათლების პრინციპებს, სტუდენტებს უვითარებს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ უნარებს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მას არ გააჩნია აქციები და შესაბამისად არ ახორციელებს საკუთარი აქციების შეძენას.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

2018 წლის მონაცემებით უნივერსიტეტში 2 555 აქტიური სტუდენტია. მათგან 2 247 სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, 292-სამაგისტრო საფეხურზე, ხოლო 16 სტუდენტი სადოქტორო საფეხურზე.

ცოდნის ფონდის შვილობილმა ორგანიზაციამ, თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა 2018 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა (ერთი საერთაშორისო და ექვსი ადგილობრივი) შეფასებითა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით მოიპოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია საუკეთესო მაჩვენებლით. კერძოდ, თავისუფალმა უნივერსიტეტმა 7-დან 7-ვე სტანდარტი დააკმაყოფილა. ეს იყო საუკეთესო მაჩვენებელი იმ უნივერსიტეტთა შორის, რომელთაც ავტორიზაცია 2018 სასწავლო წელს მოიპოვეს.

2018 სასწავლო წლის მანძილზე თავისუფალი უნივერსიტეტის ექვსმა უმაღლესმა საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია.

საბაკალავრო საფეხურის შემთხვევაში ეს პროგრამებია - ბიზნესის ადმინისტრირება, ვიზუალური ხელოვნება და დიზაინი, არქიტექტურა, ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია.

სამაგისტრო საფეხურზე - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში.

ხოლო სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 2018 წელს.

აღნიშნული პროგრამების უმეტესობას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით, ხოლო ახალი პროგრამების შემთხვევაში, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენენ თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში, მათ 5 წლის ვადით მიენიჭა პირველი აკრედიტაცია.

თავისუფალი უნივერსიტეტი ახროციელებს 18 პროფესიულ (სასერტიფიკატო) პროგრამას. მათგან დღეის მდგომარეობით ხორციელდება 4 პროგრამა.

თავისუფალი უნივერსიტეტის ეს პროგრამებია: Certified Business Administrator (CBA), Certified Financial Manager (CFM), Certified Marketing Manager (CMM), კონფუცის ინსტიტუტი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა. ისევე როგორც სხვა ქართული კომპანიებისთვის, უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური გარემო.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ ბაზარზე იყოს მაღალი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალ და განათლებულ პერსონალზე.

ვახტანგ ლეჟავა

რექტორი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა. ისევე როგორც სხვა ქართული კომპანიებისთვის, უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური გარემო.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ ბაზარზე იყოს მაღალი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალ და განათლებულ პერსონალზე.

ვახტანგ ლუჟავა

რექტორი



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 31 აგვისტოს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 31 აგვისტოს შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 31 აგვისტოს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი

შპს „ნექსია თიეის“ სახელით

12 ნოემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 31 აგვისტოს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 31 აგვისტოს შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 31 აგვისტოს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი

შპს „ნექსია თივის“ სახელით

12 ნოემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

